პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 138 (7699)

19 ივლისი, ხუთშაბათი 1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

ახლახან თბილისში დამთავრდა მოფარიკავეთა შეჯიბრება სტუდენტთა სპორტკლუბების საკავშირო თამაშების პროგრამით. იშვიათი ერთსულოვნება და გამარჯვების კენ სწრაფვა გამოავლინეს ჩვენი რესპუბლიკის რაპირისტმა ქალებმა, რომელთაც ჯილდოდ ოქროს მედლ ები ხვდათ. სურათზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა გად აიღო, ალბეჭდილია გამარჯვებული გუნდი. მარცხნიდან: ელისო მარსაგიშვილი, მანანა დარახელია, ვენერა მამუკაშვილი, ლეილა ბერაძე და ქეთევან ერემაშვილი.

ჯილდოდ — დოქტორ შმიდტის თასი

კარგა ხანია მხატვრული ტანვარჯიშის ქართველ გულშემატკივარს გულით აღარ გაუხარია. დიდი სპორტიდან ჩვენი მშვენიერი ტანმოვარჯიშეების წასვლის შემდეგ ქართულ ტანვარჯიშში გაჩნდა გარკვეული ვაკუუმი, რომლის დროულად შევსება დროით და ჩვენი კანონიერი სურვილით იყო ნაკარნახევი.

ამ ორიოდე თვის წინათ თბილისის ღია პირველობაზე საპატიო მსაჯად მოწვეულმა, წარსულში სახელოვანმა ტანმოვარჯიშემ ელენა ბირიუკმა თქვა: ნელი სალაძის ხელში ახლაც ნიჭიერი, საუცხოო ბავშვები არიან და, მისი ამბავი რომ ვიცი, მათგანაც ჩემპიონებს გაზრდისო.

ვიოლეტა დარბაიძის სახელი კარგა ხანია ისმის მხატვრული ტანვარჯიშის სამყაროში. შარშან დეკემბერში მან მოიგო ტალინის ტრადიციული ტურნირი „მის მერეპიიგა", იყო საქართველოს ჩემპიონი.

სულ ახლახან ავსტრიის დედაქალაქში გაიმართა დოქტორ შმიდტის სახელობის თასის გათამაშება, სადაც ვიოლეტამ საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ნაკრებ გუნდთან ერთად გამარჯვება მოიპოვა.

— შეჯიბრებაში შვიდი ქვეყნის ტანმოვარჯიშეები მონაწილეობდნენ, — თქვა ვიოლეტამ, — ავსტრიის, შვეციის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდები. ჯგუფში ექვსნი ვიყავით: კიეველები ოლგა როდიონოვა და ირინა კოჟარინა, რიგელი ელენა ლაზარენკო, ვოლგოგრადელი ტატიანა ვოროტინცევა, მინსკელი ოლგა კისელიოვა და მე. ვარჯიშს ბიზეს „კარმენის" მუსიკაზე ერთ თვეს ვამზადებდით. სამი ჩვენგანი რგოლით ვარჯიშობდა, სამი — სახტუნაოთი. როგორც ამბობდნენ, ძალიან ლამაზად გამოვედით.. მეორე ადგილი ჩეხებმა დაიკავეს, მესამე — გერმანელებმა.



ვიოლეტა დარბაიძე (მწვრთნელი ნელი სალაძე) ახლა მოსწავლეთა სპარტაკიადისთვის ემზადება, ოქტომბერში კი საბჭოთა კავშირის თასისთვის ბრძოლაში ჩაებმება.

ლია გაგოშიძე.

ს უ რ ა თ ზ ე: ვიოლეტა დარბაიძე. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

„მეგობრობა-84"

ფარიკაობა

კიდევ ორი გამარჯვება

საბჭოთა მოფარიკავეები წარმატებით გამოდიან ბუდაპეშტის დიდ საერთაშორისო ტურნირში. მათ ყველას აჯობეს პროგრამის კიდევ ორ სახეობაში — რაპირისტთა და ხმლით მოფარიკავეთა გუნდურ შეჯიბრებებში. ერთი სიტყვით, ჯერჯერობით გათამაშებული ოთხივე ოქროს მედალი საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დაისაკუთრა.

მინსკელმა ალექსანდრე რომანკოვმა, თბილისელმა ვლადიმერ აფციაურმა, ბაქოელმა ბორის კორეცკიმ, მოსკოველმა ვლადიმერ ლაპიცკიმ და უფელმა ანვარ იბრაგიმოვმა ანგარიშით 9:5 დაამარცხეს უნგრელი რაპირისტები.

ხმლით მოფარიკავეთა ფინალურ მატჩშიც საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. როგორც ცნობილია, უნგრელებს ამ სახეობაში განსაკუთრებით ძლიერი სპორტსმენები ჰყავთ. საკმარისია ითქვას, რომ მათ მოპოვებული აქვთ 36 ოლიმპიური მედალი, აქედან 20 — ოქროსი.

ფინალს მღელვარებით ელოდნენ მონაწილენიც და მაყურებლებიც. ყველას ახსოვდა, რომ 1981 და 1982 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში საბჭოთა სპორტსმენები ჩამორჩნენ უნგრელებს, მაგრამ შარშან პირველობა მათ დაისაკუთრეს. ჩვენი ხმლით მოფარიკავეები ბუდაპეშტში ახლაც იმავე შემადგენლობით გამოდიოდნენ (ვიქტორ კროვოპუსკოვი, მიხეილ ბურცევი, ანდრეი ალშანი, გიორგი პოღოსოვი, სერგეი მინდერგასოვი) და ბრძოლა მოიგეს ანგარიშით 9:7.

შეხვედრები უაღრესად დაძაბულად წარიმართა. ყველაფერი შეჯიბრების ბოლო წუთებში წყდებოდა. საბჭოთა გუნდი თავიდან ლიდერობდა (4:1), მერე ზედიზედ ოთხი ბრძოლა წააგო. როცა ანგარიში იყო 8:7, გუნდს გამარჯვების ქულა მოუტანა ალშანმა.

მაშ ასე, საბჭოთა რაპირისტებმა და ხმლით მოფარიკავეებმა მოიგეს როგორც პირადი, ისე გუნდური შეჯიბრებები.

ხელბურთი

სარბიელზე არიან უძლიერესნი

როსტოკსა და მაგდებურგში დაიწყო ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირი „მეგობრობა". სასაპარეზოდ თავი მოიყარეს უძლიერესმა სპორტსმენებმა. მათ შორის არიან ოლიმპიური ჩემპიონები — გდრ-ის წარმომადგენლები, მსოფლიო ჩემპიონები — ხელბურთის საბჭოთა ოსტატები, მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები — პოლონელები. შეჯიბრებაში მონაწილეობენ უნგრეთის სპორტსმენებიც, რომლებმაც სუპერთასის გათამაშებაში IV ადგილი დაიკავეს.

პირველ დღეს მოულოდნელი არაფერი მომხდარა. საბჭოთა ხელბურთელებმა მოუგეს გდრ-ის მეორე ნაკრებს — 24:17. მასპინძელთა პირველმა გუნდმა აჯობა კუბელებს — 35:20. ორი დანარჩენი მატჩი ასე დამთავრდა: უნგრეთი — ჩეხოსლოვაკია — 26:20, პოლონეთი — ბულგარეთი — 26:18.

ადგილობრივი კომენტატორები აღნიშნავენ საბჭოთა ნაკრების ოსტატურ თამაშს. განსაკუთრებით მოსწონთ ანპილოგოვი, გაგინი, კუშნირიუკი და რიმანოვი, რომლებმაც სასტარტო მატჩში 4-4 ბურთი გაიტანეს.

პირველად ამ ერთი თვის წინათ დარეკა რედაქციაში. ხმაზე და საუბრის მანერაზე ეტყობოდა — საკმაოდ ხანდაზმული უნდა ყოფილიყო. ვინაობის გამხელა არ მოისურვა. ალარც ჩვენ ჩავძიებივართ. კარგა ხანს ისაუბრა. მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე დაგვირეკა. ტელეფონის ზარი ერთთავად თბილისის „დინამოს" თამაშის მეორე დღეს ემთხვეოდა. არც არავის დამუქრებია, არც პრეტენზიები გამოუთქვამს, არც რაიმე უთხოვია, თავის გულისტკივილზე თბილისელთა მარცხიან მატჩებზე ლაპარაკობდა. იმდენი გულისტკენა და წუხილი იყო ამ კაცის თუნდაც მარტო ხმაში, რომ საუბარზე უარის თქმა კი არა, იქით ვცდილობდით დამშვიდებას.

ეს ჩვენთვის უცნობი კაცი ხოცრად ჰგავს ჩვეულებრივ გულშემატკივარს, რომელიც მისი არ იყოს, მაინცდამაინც ვერ არის კარგ დღეში...

ამას წინათ ჩვენს მკითხველს — ფეხბურთის ქომაგს შევპირდით, რომ მწერალ გურამ ფანჯიკიძის დახმარებით ვასაუბრებდით თბილისის „დინამოს" უფროს მწვრთნელთან.

პირობა პირობაა. გთავაზობთ გურამ ფანჯიკიძისა და დავით ყიფიანის დიალოგს.



დიალოგი



რწმენა გამარჯვებას მოაქვს, გამარჯვება კი — რწმენას

● **პირველი წრე დამთავრდა. დამთავრდა ძალზე ცუდად, უფერულად. განსაკუთრებით ბოლო მატჩების შედეგებმა შეგვაშფოთა. კაცმა რომ თქვას, შარშანდელთან შედარებით პროგრესი არის. ამას უნდა დავუმატოთ ის ორი მშვენიერი მატჩიც, მინსკის დინამოსა და ცსკა-სთან რომ ვითამაშეთ. ვინ იცის, მოგებული და წაგებული მატჩები რალაც თანმიმდევრულად რომ განაწილებულიყო, საერთო სურათი იქნებ არც გამოსულიყო ასეთი დამაღონებელი. მოსახდენი მოხდა. ყველამ წავიკითხეთ გაზეთებში თქვენი საერთო კრების ამბავი და იქ მიღებული მკაცრი, მაგრამ სამართლიანი გადაწყვეტილებანი.**

რა გულდასაწყვეტია: ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჯერ კიდევ არ მომწიფებულა იმისათვის, რომ მშობელი ხალხის სიყვარული დააფასოს. დაე იცოდნენ, რომ ყველაფერს ამ ქვეყანაზე, მათ შორის ფეხბურთსაც და ფეხბურთელებსაც, თავისი ადგილი აქვს. კეთილი ინებონ და ნუ დაგვამადლიან მინდორზე სირბილს.

● **როგორი განწყობილებაა გუნდში ამ კრების შემდეგ?**

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველამ სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება და გამოიტანა სათანადო დასკვნები. ვფიქრობ, ასეთი ერთსულოვანი განწყობილება გამოიღებს თავის შედეგებს.

● **მე ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, ვისაც თქვენი საქმიანობისა სწამს. ეს რწმენა მძაფრი კამათის დროს დაბადებული ემოცია როდი გახლავთ. მე თქვენთან ერთად ბევრჯერ ვყოფილვარ საბჭოთა კავშირის ქალაქებში თუ საზღვარგარეთ, კარგად ვიცნობ თქვენს საფეხბურთო კრედოს, თქვენს ხასიათს, შრომისმოყვარეობას, პრინციპულობას. ახლა, როცა უკვე თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი ბრძანდებით, მივხვდი, რომ არ შევმცდარვარ. მე არ მაოცებს საქმისადმი თქვენი ასეთი სერიოზული დამოკიდებულება და პასუხისმგებლობის გრძნობა. იგი თქვენი თვისებაა — როგორც პროფესიონალისა და მოქალაქისა. მაგრამ ამავე დროს მწამდა, რომ მწვრთნელს ხელთ არ უპყრია ჯადოსნური კვერთხი. იმ შემადგენლობას, შარშან რომ უმაღლესი ლიგის დატოვებას ალარაფერი უკლდა, რამდენიმე თვეში მწვრთნელი ისეთ გუნდად ვერ აქცევდა, საპრიზო ადგილებისათვის რომ ებრძოლა.**

გუნდი რომ კრიზისიდან გამოვიდეს, თანაც ისეთი კრიზისიდან, თბილისის „დინამოს" რომ ჰქონდა, სამი წელი მაინცაა საჭირო, ძიებისა და თავდაუზოგავი შრომის სამი წელი...

— მართალი ბრძანდებით, რამდენიმე თვეში, თუნდაც ერთ წელიწადში ძალზე ძნელია გუნდი კრიზისიდან გამოიყვანო. მაგრამ პასუხისმგებლობას სულაც არ ვიხსნი და ვაცხადებ, რომ პროგრესი მატჩიდან მატჩამდე უნდა იგრძნობოდეს და არ უნდა გვქონდეს ისეთი ჩავარდნა, როგორც პირველი წრის ფინიშზე გვქონდა.

● **თითქმის უპრეცედენტო ამბავი მოხდა, საკუთარ მოედანზე გუნდმა აიღო პირველი ადგილი, გასვლით მატჩებში კი — ბოლო. გვაძლევს თუ არა ეს სტატისტიკა შორს მიმავალი დასკვნების უფლებას?**

— რასაკვირველია, საკუთარ მოედანზე და გასვლით თამაშებზე მოპოვებულ ქულათა ასეთი თანაფარდობა მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ძალზე ბევრი და სერიოზული პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი.

● **მოდით, გულახდილად ვიმსჯელოთ ყველა პრობლემაზე. უწინარესად კი დავიწყოთ მწვრთნელით, დავით ყიფიანით.**

თქვენ საბჭოთა კავშირში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი ხართ. ბუნებრივია, ვგულისხმობ უმაღლეს ლიგას. მაგრამ ეს არაა მთავარი. საყურადღებო ისაა, რომ თქვენი საფეხბურთო კარიერის დამთავრებიდან სულ მოკლე ხანში ჩაიბარეთ თბილისის „დინამო", რომელიც ძირითადად თქვენი მეგობრებით არის დაკომპლექტებული. გუშინდელ თქვენს მეგობარს, რომელთანაც ერთად ოთახში გეძინათ, მოგზაურობდით, აზრებს გულწრფელად და ძმურად უზიარებდით, დღეს უკვე უფროსად მოევლინეთ. ამ სიტუაციამ ხომ არ შექმნა დამატებითი ფსიქოლოგიური ბარიერები, ხშირად არასასურველ მიმართულებას რომ იძენს ხოლმე?

— ვიცი, ამ შეკითხვას გულშემატკივრების სახელით მაძლევთ, თორემ თქვენ მშვენივრად იცით, არავითარი გართულებები ამ მიმართულებით არ გვქონია და, დარწმუნებული ვარ, არც გვექნება. რასაკვირველია, თითქმის ბუნებრივიც კია, რომ ასეთ შემთხვევაში დამატებითი ფსიქოლოგიური ბარიერები წარმოიშვას, მაგრამ ამ დროს ყველას დიდი ტაქტიანობა გვმართებს. საერთოდ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანები ვართ და ადამიანური სისუსტეები გაგვაჩნია.

● **თქვენ, როგორც ფეხბურთელს, ბუნებრივია, გქონდათ გარკვეული პირველი თვისებები. ზოგჯერ იქნება დაგირღვევიათ კიდეც შინაგანაწესი, რის გამოც, ალბათ, მწვრთნელის უკმაყოფილება და იქნებ საყვედურიც კი დაგიმსახურებიათ. ახლა, თქვენ, როგორც მწვრთნელს, ბუნებრივია, ანალოგიურ სიტუაციებში გიწევთ ფეხბურთელების გაფრთხილება, საყვედურის გამოთქმა და იქნებ ძალზე მკაცრი სასჯელის დადებაც. ვფიქრობ, აქაც ჩნდება ერთი საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური ბარიერი. ვთქვათ, თქვენ ფეხბურთელს ანალოგიურ ვითარებაში მიმართავთ საყვედუ-**

(დასასრული მე-2 გვ.)

რწმენა გამარჯვებას მოაქვს, გამარჯვება კი — რწმენას

(დასასრული)

რით, ფეხბურთელს, რომელიც გუშინ თქვენს გვერდით თამაშობდა და მშვენივრად ახსოვს, რომ ახეთი დარღვევები არც თქვენთვის იყო უცხო ხილი. მსგავს შემთხვევებში ხომ არ ვარდებით ხოლმე უხერხულ სიტუაციაში?

— ბუნებრივია, ანგელოზი არც მე ვყოფილვარ და მახასიათებდა გარკვეული ჭირვეულობანი. და, აქედან გამომდინარე, სავსებით სწორი ბრძანდებით, იქმნება რთული ფსიქოლოგიური ბარიერი. მართალია, ბევრს დარიგება არ შველის, მაგრამ მე მაინც ვამჯობინებ საქმისადმი ინტელექტუალურ მიდგომას. საერთოდ, ამ მიმართულებით მწვრთნელს უნდა შეეძლოს ვარირება, გაფრთხილებისა თუ დასჯის, დაყვავებისა თუ შეგონების მეთოდების ოსტატური მონაცვლეობა. მთავარი მაინც მიზეზებში ჩაწვდომაა. ფეხბურთელი უნდა მიხვდეს, რომ გაუგე, თორემ ისე ძნელია მისი ნდობის მოპოვება.

● **დიალოგს მაშინა აქვს ფასი, როცა იგი გულწრფელია. რასაკვირველია, არის გარკვეული მომენტები, რომლებზეც გულწრფელად ვერ ილაპარაკებთ მრავალი ობიექტური მიზეზის გამო (მაგალითად, მწვრთნელის აღმზრდელობითი მეთოდების საიდუმლოს საჯაროდ ვერ გამოიტან. სხვაც ბევრია მსგავსი ნიუანსი). მაგრამ იმ საკითხების ირგვლივ, რომლებიც ჩვენს დიალოგში წამოიჭრება, აუცილებლად გულწრფელნი უნდა ვიყოთ. წელან თქვენ ბრძანეთ, ამ შეკითხვას გულშემატკივართა სახელით მაძლევთო და მართალიც იყავით. ახლაც ახეთივე სიტუაციაა, რადგან მე თქვენ კარგად გიცნობთ და ძალზე დიდ პატივს ვცემ თქვენს მაღალინტელექტუალურ და მამულიშვილურ თვისებებს.**

გულშემატკივართა გარკვეულ წრეებში არის აზრი, რომ თქვენ არ ხართ დაინტერესებული, იპოვოთ ან გამოზარდოთ ისეთი ფეხბურთელები, რომლებმაც მომავალში შეიძლება თქვენი სახელი დაჩრდილონ. მე ძირშივე მჯერა ამ შეკითხვის უხაფუძვლობა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ორი სიტყვით აუცილებლად უნდა გამცეთ პასუხი.

— შეიძლებოდა ამ შეკითხვაზე მხოლოდ ღიმილით მეპასუხა, მაგრამ რაკი თქვენ მეკითხებით, მჯერა, საჭირო ყოფილა პასუხის გაცემა. დავით ყიფიანმა, ფეხბურთელმა, უკვე დაამთავრა თავისი კარიერა. დაამთავრა ისე, რომ მისთვის ერთხელაც არ დაუსტვენიათ. დავით ყიფიანს, მწვრთნელს, რატომ უნდა მინდოდეს, რომ ამჯერად გულშემატკივრებმა სტვენა დამიწყონ?

● **თბილისის „დინამოში" დღესდღეობით წამყვანი ფეხბურთელები კვლავ ძველი თაობის წარმომადგენლები არიან. ხომ არაა რაიმე კონფლიქტი მათსა და ახალ თაობას შორის? ან ხომ არ იგრძნობა ერთგვარი აგდებული დამოკიდებულება უმცროსი კოლეგებისადმი?**

— უფროს-უმცროსობა საერთოდ დასაფასებელი ამბავია. ჩვენი სხვადასხვა ასაკის ფეხბურთელების ურთიერთობაც ამ ჩარჩოშია მოქცეული. მათ შორის არავითარი კონფლიქტი არ არის. ისე კი, თუ უფროსი თაობის წარმომადგენლები თავდადებული ბრძოლისათვის მოუწოდებენ თავიანთ ახალგაზრდა თანაგუნდელებს, აქ საწყენს ვერაფერს ვხედავ.

● **პირადად თქვენ პირველ წრეში ელოდით უკეთეს შედეგს?**

— ველოდი. ბევრმა რამემ შეგვიშალა ხელი, რომლებზეც, ალბათ, ქვემოთ ვილაპარაკებთ, მაგრამ უკეთეს შედეგს ნამდვილად ველოდი. თუმცა, სავსებით გეთანხმებით, რომ ისეთი გუნდის შექმნას, ჩვენს მაყურებლებს რომ უნდათ, მართლაც სამი წელი მაინც სჭირდება. აქვე ისიც უნდა დავძინო, რომ ამის თქმის უფლება თქვენ გაქვთ, მე კი — არა. მაყურებელი თავისი საყვარელი გუნდისაგან კარგ თამაშს მოითხოვს. ჩვენც ყოველდღიურად უნდა ვიბრძოლოთ განუწყვეტელი პროგრესისათვის.

● **თქვენ პირველ წრეში საბჭოთა კავშირის გუნდებს შორის, თუ არ ვცდები, მოედანზე ყველაზე მეტი ფეხბურთელი გამოიყვანეთ. ეს ორი მიზეზით იყო გამოწვეული — ექსპერიმენტით და ტრავმებით. ტრავმების გამო, დარწმუნებული ვარ, თქვენ ჯერ არ გამოგიყვანიათ მოედანზე ის შემადგენლობა, რომელიც ოპტიმალურად მიგაჩნიათ, რასაკვირველია, თუკი მოძებნილი გაქვთ ეს ოპტიმალური ვარიანტი.**

— მინდა განვაცხადო, რომ ოპტიმალური ვარიანტი მაქვს მოძებნილი, მაგრამ, სამწუხაროდ, პირველ წრეში, წელს ვერც ერთხელ ვერ გამოვიყვანე გუნდი ისე, როგორც მე მიმაჩნია საჭიროდ. არამცთუ პირველი წრის მანძილზე, ბევრი ფეხბურთელი დღესაც ტრავმირებულია. გრიგოლ ცაავა ჯერ კიდევ ვერ გრძნობს თავს კარგად, გელა კეტაშვილი მხოლოდ ამ თვის 18 რიცხვიდან შეუდგა ვარჯიშს. გუნდისათვის ძალზე დიდი დანაკლისია ხოლმე ალექსანდრე ჩივაძის ავადმყოფობა. იგი მარტო ბრწყინვალე ფეხბურთელი როდია. როცა ჩივაძე მოედანზეა, ახალგაზრდობა უფრო თამამად და იმედიანად თამაშობს. ბოლო მატჩებში ტრავმის გამო ვერ ითამაშა გუნდის მეკარემ მამუკა აბუსერიძემ.

● **მართალი ბრძანდებით. ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზებს ალბათ მოევლება, მაგრამ ახლა უმთავრესზე ვილაპარაკოთ: აი, ამ პრობლემის გადაჭრა კი უფრო რთულია და შრომატევადი.**

დავიწყოთ პირდაპირ, გუნდს თითქმის არ გააჩნია მოწინააღმდეგის მოედანზე ბრძოლის უნარი. პირველსავე წარუმატებლობაზე ყრიან ფარ-ხმალს, ეგუებიან მარცხს. კარგად მოგეხსენებათ ახეთი გამოთქმა, არის გამარჯვებული, მაგრამ არ არის დამარცხებული. ამას მაშინ ამბობენ, შედეგით დამარცხებული გუნდი მაყურებელთა გულს რომ მოინადირებს მაღალტექნიკური, ვაჟკაცური და თავდადებული თამაშით, გამარჯვებისკენ სწრაფვის დაუოკებელი ჟინით.

— სამწუხაროდ, თამაშის დისციპლინა ჩვენთან მოიკოჭლებს. ალბათ, ამ მიმართულებით ყველაზე მეტად გვმართებს ყურადღების გამახვილება. მართალი ბრძანდებით, პირველსავე წარუმატებლობაზე გუნდი თითქმის კარგავს თავის ხელწერას, შეტევები უმიზნო და სტიქიური ხდება. მთავარია, ახალგაზრდა ფეხბურთელებს ჩავუნერგოთ რწმენა. ეს იოლი როდია. რაღაც ჯადოსნური წრე იკვრება. რწმენა გამარჯვებას მოაქვს, გამარჯვება კი — რწმენას. წინ რთული, დამაბული და ფსიქოლოგიურად სწორად გასაანალიზებელი სამუშაო გველის.

● **გუნდში სულ რამდენიმე ათლეტი თუ გვყავს. დღევანდელი ფეხბურთისათვის ეს ძალზე ცოტაა. მე, მაინცდამაინც ტანმაღალ ფეხბურთელებს კი არ ვგულისხმობ. ყველამ მშვენივრად იცის, ტანმორჩილია მარადონა, მაგრამ ნამდვილი ათლეტია, კუნთმაგარი, ლონიერი, აკორდივით შეკრული. სუსტი ფეხბურთელი, რაც უნდა ტექნიკური და კარგი სტრატეგი იყოს, უმრავლესწილად მაინც აგებს ბრძოლას ჰაერშიც და ვირაჟზეც.**

— დღევანდელ ფეხბურთში ათლეტიზმი აუცილებელია. ყოველ შემთხვევაში, გუნდში პროცენტულად ათლეტები უნდა ჭარბობდნენ, რაც, სამწუხაროდ, ჩვენი აქილევსის ქუსლია. დღევანდელ ფეხბურთში აუცილებელია მოწინააღმდეგის მჭიდროდ აყვანა. ეს თითქოს ეწინააღმდეგება ქართული ტექნიკური ფეხბურთის ხასიათს, მაგრამ უამისოდ დღეს წარმოუდგენელია თამაში. სწორედ ნაკლებათლეტურობა გვიშლის ხელს მჭიდრო მეურვეობა დავაწესოთ მოწინააღმდეგე ფეხბურთელებზე. სამწუხაროდ, ჩვენ მათ ყოველთვის ვაძლევთ თავისუფალი თამაშის საშუალებას.

● **ტექნიკა ხომ მარტო მოწინააღმდეგის მოტყუება და ფინტი არ არის?! კარგი პასიც ხომ ფეხბურთელის არა მარტო მოედნის ხედვას, არამედ ტექნიკასაც მოწმობს?**

— რასაკვირველია. ჩვენ ყოველთვის ხაზს ვუსვამთ ქართველ ფეხბურთელთა ტექნიკას, მაგრამ ძალზე დაბალი გვაქვს პასის კულტურა. მარტო მოედნის ხედვა ვერ გიშველის, თუ შენი პასის შემდეგ ბურთმა მიზნამდე არ მიაღწია. ცუდი პასის გამო პროცენტულად მოწინააღმდეგეზე ბევრჯერ მეტად ვკარგავთ ბურთს. ხოლო შემდეგ ამ ბურთის მოგერიება და ხელში ჩაგდება ენერგიის ორმაგი ხარჯვით გვიჯდება. თბილისელთა სუსტი წერტილია თავით თამაშიც. ამიტომაა, რომ ჩვენს კართან ჩამოწოდებული კუთხური ან საჯარიმო ყოველთვის სახიფათოა.

● **დავით, გულშემატკივართა უმრავლესობას სჯერა, რომ თბილისის „დინამო" ფიზიკურად სუსტადაა მომზადებული. თუმცა ამ საკითხზე მე სხვა აზრისა ვარ.**

— აი, თქვენ გუშინაც და დღესაც დაესწარით ნორმატივების ჩაბარებას, რომელსაც ფეხბურთის საკავშირო ფედერაციიდან ამხ. ბ. პრონინი ესწრებოდა. კროსში 3000 მეტრზე, სირბილში 400 მეტრზე და სპრინტში 30 მეტრზე, ასევე ხუთჯერადი ხტომებისა და სხვა ტექნიკური ნორმატივების შესრულებისას ჩვენმა ბიჭებმა არაფრით ნაკლები შედეგი არ აჩვენეს და ძირითადად ხუთიანები დაიმსახურეს.

გუნდის ფიზიკურად ცუდი მომზადების ილუზიას ქმნის ის მიზეზები, რაც წელან ვთქვით, ნებისყოფის, საბრძოლო ჟინის უქონლობა და ფარხმლის იოლად დაყრა. რაც, სამწუხაროდ, უარესია, ვიდრე ცუდი ფიზიკური მომზადება.

● **ჩემი აზრით, გუნდის წინაშე დგას ერთი დიდი პრობლემაც — მთელ რესპუბლიკაში მოიძებნონ ნიჭიერი ახალგაზრდები, ვერ დავიჯერებ, რომ ჩვენს ბიჭუნებში ვერ ვიპოვოთ მომავალი ვარსკვლავები.**

— ვეძებთ, როგორ არ ვეძებთ, თითქმის ყველა ნიჭიერი ახალგაზრდა აღრიცხვაზე გვყავს აყვანილი. აგერ, აგვისტოში, თბილისში ჩატარდება პერსპექტიული ფეხბურთელების ტურნირი. ვინც მოგვეწონება, ბუნებრივია, ყველას ვერ ავიყვანთ. არ არის ამის საშუალება, მაგრამ მათ თამაშს სხვა გუნდებში თვალყურს მივადევნებთ. ისე კი, საჭიროა ფეხბურთელმა ბევრი ითამაშოს, მოედანზე პიროვნებად ჩამოყალიბდეს. ჩემი აზრით, დუბლში ფეხბურთელი დიდხანს არ უნდა გვყავდეს, თუ რაღაც მიზეზით ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში ვერ გამოგვყავს, ჯობია პირველ ლიგაში ითამაშოს აქტიური ფეხბურთი. პირადად მე პირველი ლიგის სკოლა მაქვს გავლილი და, დამიჯერეთ, იგი ძალზე სასარგებლოა. მით უმეტეს, რომ უკვე ფიქრობენ მომავალი წლიდან დუბლი საერთოდ გააუქმონ და გუნდში მხოლოდ 20 ფეხბურთელი დატოვონ. განხორციელდება თუ არა ეს იდეა, არ ვიცი, მაგრამ ფაქტი ერთია: ძალზე რეალურად დადგა დუბლის გაუქმების საკითხი.

● **პირველი ლიგა მართლაც კარგი სკოლაა ფეხბურთელებისათვის, მაგრამ დანარჩენი ლიგებისა რა მოგახსენოთ. ცუდი მსაჯობის, ქულების ურთიერთგანაწილებისა და მრავალი სხვა მიზეზის გამო (ხშირად, არ ვიცი, რა მანქანებით, მეორე ლიგის ფეხბურთელები მეტ გასამრჯელოს იღებენ, ვიდრე უმაღლესი ლიგისა) დაბალ ლიგებში ხდება საფეხბურთო „გემოვნების" შერყვნა, ფეხბურთელის როგორც სულიერი, ისე პროფესიული დამახინჯება.**

— გეთანხმებით. ალბათ ამაზე მეტი ფიქრი მართებთ სათანადო ორგანოებს.

● **ხშირად მაყურებელს უყვარს რომელიმე ფეხბურთელი, მაგრამ მწვრთნელი სხვა აზრისაა ამ ფეხბურთელზე. ანდა პირიქით, მწვრთნელს მიაჩნია, რომ მავანი ფეხბურთელი დღეს ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე, მაგრამ სჯერა მისი. თქვენ, როგორც მწვრთნელს, ხელს ხომ არ გიშლით მაყურებლის აქტიური აზრი და რეაქცია?**

—მე ჩემი ხანმოკლე სამწვრთნელო პრაქტიკიდან კი არა, ზოგადად ვიტყვი. რასაკვირველია, ხანდახან იძულებული ხარ გულშემატკივრებს ანგარიში გაუწიო. მოვიყვან ორ მაგალითს. ვთქვათ, მე მჯერა ფეხბურთელისა, რომელიც ჯერ ვერ თამაშობს, მაგრამ მწამს, რომ იგი ხუთი, ექვსი ან იქნებ მეტი მატჩის შემდეგ გადალახავს ფსიქოლოგიურ ბარიერს, სძლევს შიშსა და მოკრძალებას, ხოლო მისი პროფესიონალიზმიც დაიხვეწება და თანდათან აიღებს იმ სიჩქარეს, უმაღლეს ლიგაში თამაშს რომ სჭირდება, მაგრამ მაყურებელი არ გაცლის. მას დღესვე უნდა კარგი თამაში. მძაფრი უარყოფითი რეაქციები მოქმედებს როგორც მწვრთნელზე, ისე ფეხბურთელზე.

ან პირიქით, მწვრთნელმა იცის, რომ მავანი ფეხბურთელი უკვე მზადაა ძირითად შემადგენლობაში გამოსაყვანად, მაგრამ არ გამოჰყავს, რადგან უნდა მეტად აღანთოს, ბრძოლის მეტი ჟინი და წყურვილი გაუღვივოს. ან სულაც იქნებ რაღაც არ მოსწონს მის საქციელში და სურს ფეხბურთელის პიროვნულ თვისებებში გარკვეული კორექტივი შეიტანოს.

● **რამდენადაც ვიცი, სეზონის მანძილზე ფეხბურთელი საკავშირო ნორმატივით 750 საათს ვარჯიშობს. ე. ი. დღეში მომზადების პერიოდში — 4,5 საათს, ხოლო თამაშების პერიოდში — 3,5 საათს (თეორიის ჩათვლით). გარდა ამისა, ძალზე გაიზარდა ვარჯიშის ინტენსიურობა. ამ ფიზიკური დატვირთვების გაანგარიშება ალბათ სპეციალისტების რჩევა-დაკვირვებებით ხდება. თუ იზიარებენ ჩვენი სპეციალისტები ცნობილი უცხოური კლუბების გამოცდილებას?**

— ჯერ ვარჯიშის ხანგრძლივობაზე ვიტყვი გულახდილად. წელიწადში 750 საათი ძალზე დიდი დატვირთვაა. რამდენადაც ინფორმირებული ვარ, ვერც ერთი გუნდი 650 საათზე მეტს ვერ ვარჯიშობს. თავისთავად წელიწადში 650 საათი ვარჯიში იმ ინტენსივობით, რაც დღესაა რეკომენდებული, გმირობაა.

რასაკვირველია, უცხოური კლუბების ბევრი გამოცდილება საბჭოთა სპეციალისტებისათვის ცნობილია, მაგრამ ძალზე განსხვავებულია ჩვენი სპეციფიკაც.

არც ერთ ქვეყანაში ფეხბურთელები არ ფრენენ იმდენს, რამდენსაც საბჭოთა კავშირში. ეს ანგარიშგასაწევი ფაქტორია. სხვადასხვა დროს იწყება ჩემპიონატებიც. ეს უკვე ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატის შედეგია.

გფრ-ში გუნდის მოსამზადებელი პერიოდი 20 დღეა. წელს თბილისის „დინამოს" მოსამზადებელი პერიოდი 68 დღეს შეადგენდა. როდესაც თასისათვის ბრძოლას გამოვეთიშეთ, მოსამზადებელი პერიოდი კიდევ 15 დღით გაიზარდა.

● **თითქმის ყველა სახეობაში აშკარაა საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა. ფეხბურთში რა გვემართება?**

— ფეხბურთში პროფესიონალებს ვხვდებით. საერთოდ, პროფესიონალებთან უძლურნი ვართ კალათბურთშიც და ჩოგბურთშიც.

ტალანტები განა ჩვენ ნაკლები გვყოლია? ავიღოთ თუნდაც ქართული ფეხბურთი. [illegible] მე არც ჩვენში, არც უცხოეთში თითქმის არ მინახავს ისეთი ძლიერი ფეხბურთელები, როგორიც თავდასხმაში მიხეილ მესხი იყო, ხოლო დაცვაში — მურთაზ ხურცილავა.

● **რაკი მიხეილ მესხი ახსენეთ, პატარა მიშაზეც მინდა გესაუბროთ. გუშინ და დღესაც შევნიშნე, რომ იგი ძალზე ხერიოზულად ვარჯიშობს. თან სჯერა რომ სექტემბრისთვის უკვე შეძლებს თამაშს. თქვენ რას ფიქრობთ?**

— ჩვენც ეგ გვინდა. იგი ახლა საკმაოდ ჯანმრთელადაა და ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს. გუნდის ხელმძღვანელობა და სამედიცინო პერსონალი ყურადღებას არ მოვაკლებთ, რომ უმცროსი მიშა მალე მწვანე მინდორს დაუბრუნდეს.

● **პირველი წრის თქვენს ცალკეულ თუ მთლიან წარუმატებლობას პრესა მძაფრად და კრიტიკულად შეხვდა. რა ფსიქოლოგიურ ან ემოციურ ზემოქმედებას ახდენს პირადად თქვენზე და გუნდზე კრიტიკული წერილები?**

— არ მეგულება სპორტსმენი, რომელსაც არ აინტერესებდეს, რას წერენ მასზე. აქედან გამომდინარე, პრესის ზემოქმედება დიდია.

ჩვენ ბევრჯერ გაგვაკრიტიკეს, სამართლიანადაც, მაგრამ ასეთი მძაფრი კრიტიკა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც მე გავხდი მწვრთნელი.

საყვედურს მაინც არ ვამბობ. მხოლოდ ერთს ვიტყვი: კრიტიკული წერილიც ისე უნდა დაიწეროს, რომ გუნდში წარუმატებლობით გამოწვეული დაძაბულობა კიდევ უფრო არ გააძლიეროს. კრიტიკამ უნდა დაგაფიქროს, მაგრამ ამავე დროს უნდა მოგეხმაროს და გაგამხნეოს. თანაც, ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ პრესას შესწევს უნარი ერთ დღეში შექმნას გუნდის მიმართ დამოკიდებულება, პოზიცია. არ არის საჭირო ნაადრევად შევქმნათ არასასურველი განწყობილებანი.

● **მე თვითონ ჯერ ტელევიზიით, შემდეგ კი ფეხბურთის ფედერაციის პლენუმზე გამოვთქვი საყვედური გაზეთებში ღვარივით წამოსული კრიტიკული წერილების თაობაზე. არვარგა, როცა ზოგჯერ დუმხარ, ზოგჯერ კი ყოველგვარ ზომას გადადიხარ.**

მეორე მხრივ კი, რატომ გგონიათ, რომ ეს კრიტიკა მხოლოდ თქვენ გეხებათ და არ არის იმ დღეების კრიტიკა, როცა გუნდმა ნელ-ნელა და საფუძვლიანად დაიწყო მოწინავე პოზიციების დაკარგვა?

— შეიძლება ასეც იყოს, მე არ ვდავობ. რაკი მკითხეთ, ჩემი აზრიც იმიტომ მოგახსენეთ.

● **დავით, ზრდილობისთვის არ გეუბნებით: რაც ამ დღეებში ლესელიძეში ვნახე, იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს. მოსაწონია გუნდის დღევანდელი განწყობილება, ფიზიკური მომზადების დონე და ის ინტერესი, რასაც ბიჭები თეორიულ მეცადინეობაზე იჩენენ. საქმის გაიოლებას არ ვაპირებ, წინ რთული და დიდი გზაა გასავლელი, მაგრამ გამარჯვებას ხომ მაშინ მეტი ფასი აქვს, როცა მას დიდი თავგანწირვით, შემართებით და გონიერებით მოვიპოვებთ.**

P.S. დიალოგის საგაზეთო ვარიანტში, ბუნებრივია, სანახევროდაც არ ჩატეულა ჩვენი საუბარი. არის ბევრი ისეთი რამ, რომლის პრესაში გამოტანა არ მოგვცემს სასურველ შედეგს. ბევრი რამის თქმა პედაგოგიური თვალსაზრისითაც არაა მიზანშეწონილი. საფეხბურთო კოლექტივი ურთულესი ცოცხალი ორგანიზმია. აქ ერთმანეთთანაა შერწყმული რამდენიმე ათეული სხვადასხვა ხასიათი, სხვადასხვა ტემპერამენტი, სხვადასხვა მსოფლმხედველობა და ცხოვრებისეული პოზიცია. ამ ურთულესი ცოცხალი ორგანიზმის მოვლა იოლი როდია. მას დიდი შრომა, თავდადება, პროფესიონალიზმი და დრო უნდა. დიდი საქმე კი ერთბაშად არასდროს არ გაკეთებულა.

გურამ ფანჯიკიძე.

ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი

წილისყრა ჟენევაში

ჟენევაში მოეწყო ევროპის მოზარდ და ჭაბუკ ფეხბურთელთა ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირების წილისყრა.

საბჭოთა კავშირის მოზარდთა ნაკრები, რომელშიც 16 წლამდე ფეხბურთელები ასპარეზობენ, VI შესარჩევ ჯგუფში მოხვდა. აქ მისი მეტოქე იქნება ჩეხოსლოვაკიის ნაკრები. ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს კონტინენტის პირველობის ფინალურ ტურნირში, რომელიც 1985 წელს უნგრეთში გაიმართება.

სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები (18 წლამდე), თურქ, ჩეხოსლოვაკიელ და რუმინელ თანატოლებთან ერთად VIII შესარჩევ ჯგუფში ითამაშებს. შესარჩევი მატჩები 1986 წლის მაისამდე უნდა დამთავრდეს, ხოლო ფინალური ასპარეზობა იმავე წლის ოქტომბერში გაიმართება (ტურნირის ადგილი ჯერ არ არის დადგენილი).

ახლა კი წილისყრის სრულ შედეგებს გაგაცნობთ:

ევროპის მოზარდთა ჩემპიონატი (16 წლამდე):

I ჯგუფი — ფინეთი, შოტლანდია; II — ისლანდია, დანია; III — ჩრდილოეთ ირლანდია, ნორვეგია; IV — ავსტრია, გდრ; V— შვეცია, პოლონეთი, გფრ; VI — სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია; VII — ლუქსემბურგი, ესპანეთი; VIII— შვეიცარია, იტალია, პორტუგალია; IX — ბელგია, საფრანგეთი, ჰოლანდია; X — კვიპროსი, საბერძნეთი; XI—ბულგარეთი, თურქეთი; XII— რუმინეთი, იუგოსლავია (ფინალური ასპარეზობის ორგანიზატორი ქვეყნის — უნგრეთის ნაკრები შესარჩევი მატჩებისგან თავისუფალია).

ფინალურ ტურნირში ჯგუფების შემადგენლობა ასეთი იქნება:

„ა“ ჯგუფი: V და VI ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები, VIII ჯგუფში II ადგილზე გასული კოლექტივი, უნგრეთი;

„ბ“ ჯგუფი: VII, VIII, XII ჯგუფებში გამარჯვებულნი, V ჯგუფში II ადგილზე გასული;

„ც“ ჯგუფი: III, IV, XI ჯგუფებში გამრჯვებულნი; IX ჯგუფში II ადგილზე გასული;

„დ“ ჯგუფი: I, II, IX, X ჯგუფებში გამარჯვებულნი..

ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი (18 წლამდე):

I ჯგუფი — ისლანდია, შოტლანდია, ინგლისი, ირლანდია;

II — ჰოლანდია, ბელგია, უელსი, ჩრდილოეთ ირლანდია;

III — საფრანგეთი, ლუქსემბურგი, იუგოსლავია, ესპანეთი;

IV — მალტა, იტალია, პორტუგალია, ავსტრია;

V — გფრ, შვეიცარია, პოლონეთი, დანია;

VI — ნორვეგია, ფინეთი, შვეცია, გდრ;

VII — საბერძნეთი, კვიპროსი, უნგრეთი, ბულგარეთი;

VIII — სსრ კავშირი, თურქეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი.

შესარჩევ ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები ფინალური ტურნირის საგზურებს მიიღებენ.

საქართველოში ახლა, როგორც იტყვიან, გახურებული საფეხბურთო სეზონია: გარდა ოსტატთა გუნდების შეჯიბრებებისა, მიმდინარეობს რესპუბლიკური ჩემპიონატის დაძაბული მატჩები I და II ჯგუფებში, ჭაბუკთა შეჯიბრებები, „ტყავის ბურთის“ კლუბის ასპარეზობა, მალე დაიწყება თასისა და ზონალური გათამაშებები.

ამასთან დაკავშირებით „ლელოს“ კორესპონდენტი ეწვია საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს **გიორგი ბაქანიძეს** და სთხოვა მკითხველთათვის გაეცნო რა სიახლეები აქვს გათვალისწინებული სამმართველოს შეჯიბრებათა უკეთ მომსახურების მიზნით.

— მრავალწლიანმა პრაქტიკამ ცხადყო, — თქვა გ. ბაქანიძემ, — რომ ყოველი შეჯიბრების მეორე ნახევარში დაძაბულობა მნიშვნელოვნად მატულობს. ამ პერიოდში, როგორც წესი, ვლინდებიან ლიდერები, აუტსაიდერები, მათი შეხვედრები უფრო პრინციპული, კონკრეტული ხდება, ამასთან დაკავშირებით რთულდება მსაჯობაც და არბიტრთა შეცდომებიც უფრო ხშირია. ყველამ ვიცით, რომ მსაჯისთვის თეორიული ცოდნის გარდა აუცილებელია კარგი ფიზიკური მომზადებაც. როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე უცხოეთის მსაჯთა კოლეგიებში დიდი ხანია დაწესებულია სეზონის საშუალედო პერიოდში მსაჯთა თეორიული ცოდნის ხელახალი შემოწმება, აგრეთვე, ფიზიკურ მომზადებაში ნორმატივების ჩაბარება. ის, ვინც ვერ ჩააბარებს გამოცდებს — გინდა თეორიული პროგრამით, გინდა ფიზიკურ მომზადებაში, ოფიციალურ მატჩებზე სამსაჯოდ არ დაიშვება.

26 ივლისს 11 საათზე თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩატარდება რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მომსახურე მსაჯთა თათბირი. აქ განიხილება განვლილი ეტაპის შედეგები, საუბარი იქნება მსაჯობის ხარისხზეც. იმავე დღეს, იქვე, მსაჯები სავალდებულო ნორმატივებს ჩააბარებენ ფიზიკურ მომზადებაში (კუპერის ტესტი).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო მსაჯებს ატყობინებს, რომ ისინი სპორტული ფორმით უნდა გამოცხადდნენ „ლოკომოტივის“ სტადიონზე, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსაჯოდ აღარ დაიშვებიან.

ამავე თათბირზე მოწვეული არიან ინსპექტორები, რომლებიც ესწრებიან რესპუბლიკური პირველობის მატჩებს.

გარდა ამისა, საქართველოს სპორტკომიტეტმა დაადგინა რესპუბლიკური ჩემპიონატის კალენდარული მატჩების დღეებში ფეხბურთის სამმართველოში დაწესდეს საგანგებო მორიგეობა. ინსპექტორები, რომლებიც ესწრებიან რესპუბლიკური ჩემპიონატის I ჯგუფის გუნდების მატჩებს, ვალდებული არიან ადგილებიდან ტელეფონით დაუყოვნებლივ მიაწოდონ ცნობები მორიგეს განვლილ შეხვედრათა შესახებ.

საფეხბურთო შეჯიბრებათა უკეთ მომსახურებისათვის

საქართველოს პირველობა

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩები II ჯგუფის გუნდებს შორის.

აღმოსავლეთი ზონა. „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 3:1, „თრიალეთი“ (წალკა) — „მაშავერა“ (დმანისი) 2:0, „განთიადი“ (კასპი) — „იბერია“ (ქარელი) 4:1, „იმედი“ (რუსთავი) — „ვარძია“ (ასპინძა) 3:1, „აბული“ (ახალქალაქი) — „ალგეთი“ (მარნეული) 1:0, „ქიზიყი“ (წნორი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 2:3, „იორი“ (თიანეთი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:2.

ახალციხის „მესხეთს“ გამარჯვება ჩაეთვალა საგარეჯოს „გარეჯთან“.

დასავლეთი ზონა. „კოლმეურნე“ (გულრიფში) — „ნარინჯი“ (ნატანები) 3:0, „ნაპერწკალი“ (ოჩამჩირე) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 4:1, სუბტროპიკული ინსტიტუტი (სოხუმი) — „ავტომობილისტი“ (აბაშა) 1:0, „სენაკი“ (ცხაკაია) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 1:2, „ნარინჯი“ (გონიო) — „ოდიში“ (ზედა ეწერი) 1:1, „კოლმეურნე“ (ტყიბული) — „შუქურა“ (კობულეთი) 3:2.

გათამაშების ცხრილები I ჯგუფი

მდგომარეობა 19 ივლისისთვის

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მადნეული“	18	11	5	2	34-16	27
„შევარდ.“	17	12	2	3	33-9	26
„მეტალურ.“	17	11	3	3	30-12	25
„კახეთი“	18	11	3	4	25-11	25
„ავტომობ.“	17	11	2	4	31-15	24
„არმაზი“	17	8	7	2	34-22	23
„ივერია“	18	9	4	5	29-22	22
„ჰერეთი“	18	7	7	4	26-17	21
„არაგვი“	18	6	5	7	20-20	17
„იმედი“	18	5	6	7	24-20	16
ფიზ. ინსტ.	17	5	5	7	25-26	15
„სპარტაკი“	18	5	5	8	28-30	15
„დურუჯი“	18	5	4	9	15-26	14
„ალაზანი“	17	5	2	10	17-35	12
„თორი“	18	3	4	11	15-36	10
პოლ. ინს.	18	1	3	14	16-39	5
„სამგორი“	18	1	1	16	6-52	3

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სულორი“	19	11	5	3	32-16	27
„შადრევანი“	19	10	7	2	38-22	27
„მზიური“	19	9	6	4	40-24	24
„მალაროელი“	19	7	9	3	24-19	23
„დინამო“ ზ.	19	8	6	5	33-39	22
„საპოვნ.“	19	9	3	7	36-27	21
„დინამო“ ბ.	19	9	2	8	35-35	20
„სამეგრელო“	19	8	4	7	31-26	20
„ამირანი“	19	8	3	8	29-24	19
„მეტალურგი“	19	6	7	6	29-25	19
„ბახმარო“	19	7	3	9	19-35	17
„სქური“	19	6	4	9	21-29	16
„გიგანტი“	19	7	1	11	22-30	15
„ეგრისი“	19	5	5	9	23-31	15
„იმერეთი“	19	5	5	9	22-32	15
„სალხინო“	19	5	5	9	38-39	15
„კოლხეთი“	19	5	5	9	30-36	15
„საირმე“	19	3	6	10	18-30	12

შვეიცარიის ფეხბურთის ამბები

შვეიცარიის ნაკრები, როგორც ცნობილია, საბჭოთა ფეხბურთელების ერთ-ერთი მეტოქეა მსოფლიო პირველობის შესარჩევ ჯგუფში.

ამ დღეებში გამოქვეყნდა შვეიცარიის 1983-84 წლების სეზონის სიმბოლური ნაკრების შემადგენლობა. აი, ეს გუნდიც: ბერბიგი, ვეჰრლი (ორივე — „გრასჰოპერსი“), ანდერმატი („ბაზელი“), ეგლი („გრასჰოპერსი“), ბიანკი („ქსამაქსი“), გაიგერი („სერვეტი“), ჰერმანი („გრასჰოპერსი“), ბრეგი („სიონი“), პონტე („გრასჰოპერსი“), ბარბერისი („სერვეტი“) და ბრამლერი („სენტ-გალენი“).

სეზონის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულია ჰერმანი (76 ქულა), შემდეგ მოდიან ბრეგი (72) და ბარბერისი (64).

უნგრელები მზადებას იწყებენ

როგორც ბუდაპეშტში გამოცხადდა, უნგრეთის ნაკრები იწყებს მზადებას მსოფლიოს პირველობის შესარჩევი თამაშებისათვის.

აგვისტოში გუნდი ორ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს გამართავს: 22 აგვისტოს ბუდაპეშტში მიიღებს შვეიცარიის ნაკრებს, ხოლო 25 აგვისტოს იქვე — შვეიცარიის ეროვნულ გუნდს.

II ლიგა

მეორე წრე

XXI ტური

20 ივლისი, პარასკევი

„არაზი“ — „ქიაფაზი“
„ყარაბახი“ — „ავტომობილისტი“
„ლოკომოტივი“ თბ. — „კოლხოზჩი“
„მერცხალი“ — „ხაზარი“
„ლოკომოტივი“ ხ. — „დინამო“ ხ.
„დილა“ — „მეშახტე“
„კოლხეთი“ — „ოლიმპია“

XXII ტური

23 ივლისი, ორშაბათი

„არაზი“ — „ავტომობილისტი“
„ყარაბახი“ — „ქიაფაზი“
„ლოკომოტივი“ თბ. — „ხაზარი“
„მერცხალი“ — „კოლხოზჩი“
„ლოკომოტივი“ ხ. — „მეშახტე“
„დილა“ — „დინამო“ ხ.
„კოლხეთი“ — „სპარტაკი“
„შირაკი“ — „კოტაიკი“

პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა თასი

28 ივლისი — 13 აგვისტო

XXIII ტური

18 აგვისტო, შაბათი

„კოლხოზჩი“ — „არაზი“
„ხაზარი“ — „ყარაბახი“
„დინამო“ ხ. — „ლოკომოტივი“ თბ.
„მეშახტე“ — „მერცხალი“
„კოტაიკი“ — „დილა“
„შირაკი“ — „ლოკომოტივი“ ხ.
„ქიაფაზი“ — „კოლხეთი“
„სპარტაკი“ — „ოლიმპია“

XXIV ტური

21 აგვისტო, სამშაბათი

„დინამო“ ხ. — „მერცხალი“
„მეშახტე“ — „ლოკომოტივი“ თბ.
„კოტაიკი“ — „ლოკომოტივი“ ხ.
„შირაკი“ — „დილა“
„ავტომობილისტი“ — „კოლხეთი“

22 აგვისტო, ოთხშაბათი

„კოლხოზჩი“ — „ყარაბახი“
„ხაზარი“ — „არაზი“

XXV ტური

27 აგვისტო, ორშაბათი

„არაზი“ — „დინამო“ ხ.
„ყარაბახი“ — „მეშახტე“
„ლოკომოტივი“ თბ. — „კოტაიკი“
„მერცხალი“ — „შირაკი“
„ოლიმპია“ — „ქიაფაზი“
„სპარტაკი“ — „ავტომობილისტი“
„კოლხეთი“ — „ხაზარი“

XXVI ტური

30 აგვისტო, ხუთშაბათი

„არაზი“ — „მეშახტე“
„ყარაბახი“ — „დინამო“ ხ.
„ლოკომოტივი“ თბ. — „შირაკი“
„მერცხალი“ — „კოტაიკი“
„ოლიმპია“ — „ავტომობილისტი“
„სპარტაკი“ — „ქიაფაზი“
„კოლხეთი“ — „კოლხოზჩი“
„ლოკომოტივი“ ხ. — „დილა“

XXVII ტური

4 სექტემბერი, სამშაბათი

„კოტაიკი“ — „არაზი“
„შირაკი“ — „ყარაბახი“
„ლოკომოტ.“ ხ. — „ლოკომოტ.“ თბ.
„დილა“ — „მერცხალი“
„კოლხოზჩი“ — „ოლიმპია“
„ხაზარი“ — „სპარტაკი“
„მეშახტე“ — „კოლხეთი“

XXVIII ტური

7 სექტემბერი, პარასკევი

„კოტაიკი“ — „ყარაბახი“
„შირაკი“ — „არაზი“
„ლოკომოტივი“ ხ. — „მერცხალი“
„დილა“ — „ლოკომოტივი“ თბ.
„დინამო“ ხ. — „კოლხეთი“
„ქიაფაზი“ — „ავტომობილისტი“

8 სექტემბერი, შაბათი

„კოლხოზჩი“ — „სპარტაკი“
„ხაზარი“ — „ოლიმპია“

XXIX ტური

13 სექტემბერი, ხუთშაბათი

„არაზი“ — „ლოკომოტივი“ ხ.
„ყარაბახი“ — „დილა“
„ქიაფაზი“ — „კოლხოზჩი“
„ავტომობილისტი“ — „ხაზარი“
„ოლიმპია“ — „დინამო“ ხ.
„სპარტაკი“ — „მეშახტე“

XXX ტური

16 სექტემბერი, კვირა

„არაზი“ — „დილა“
„ყარაბახი“ — „ლოკომოტივი“ ხ.
„ქიაფაზი“ — „ხაზარი“
„ავტომობილისტი“ — „კოლხოზჩი“
„ოლიმპია“ — „მეშახტე“
„სპარტაკი“ — „დინამო“ ხ.
„კოლხეთი“ — „კოტაიკი“
„ლოკომოტივი“ თბ. — „მერცხალი“

20 სექტემბერი, ხუთშაბათი

სარეზერვო დღე

XXXI ტური

24 სექტემბერი, ორშაბათი

„ლოკომოტივი“ თბ. — „არაზი“
„მერცხალი“ — „ყარაბახი“
„დინამო“ ხ. — „ქიაფაზი“
„მეშახტე“ — „ავტომობილისტი“
„კოტაიკი“ — „ოლიმპია“
„შირაკი“ — „სპარტაკი“
„ლოკომოტივი“ ხ. — „კოლხეთი“

XXXII ტური

27 სექტემბერი, ხუთშაბათი

„ლოკომოტივი“ თბ — „ყარაბახი“
„მერცხალი“ — „არაზი“
„დინამო“ ხ. — „ავტომობილისტი“
„მეშახტე“ — „ქიაფაზი“
„კოტაიკი“ — „სპარტაკი“
„შირაკი“ — „ოლიმპია“
„დილა“ — „კოლხეთი“
„ხაზარი“ — „კოლხოზჩი“

XXXIII ტური

2 ოქტომბერი, სამშაბათი

„კოლხოზჩი“ — „დინამო“ ხ.
„ხაზარი“ — „მეშახტე“

საბჭოთა კავშირის პირველობა ● IX ზონა



გათამაშების კალენდარი

„ქიაფაზი“ — „კოტაიკი“
„ავტომობილისტი“ — „შირაკი“
„ოლიმპია“ — „ლოკომოტივი“ ხ.
„სპარტაკი“ — „დილა“
„კოლხეთი“ — „მერცხალი“

XXXIV ტური

5 ოქტომბერი, პარასკევი

„ქიაფაზი“ — „შირაკი“
„ავტომობილისტი“ — „კოტაიკი“
„ოლიმპია“ — „დილა“
„სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“ ხ.
„კოლხეთი“ — „ლოკომოტივი“ თბ.
„ყარაბახი“ — „არაზი“.

6 ოქტომბერი, შაბათი

„კოლხოზჩი“ — „მეშახტე“
„ხაზარი“ — „დინამო“ ხ.

XXXV ტური

11 ოქტომბერი, ხუთშაბათი

„ყარაბახი“ — „კოლხეთი“
„ლოკომოტივი“ თბ. — „ოლიმპია“
„მერცხალი“ — „სპარტაკი“
„ლოკომოტივი“ ხ. — „ქიაფაზი“
„დილა“ — „ავტომობილისტი“
„კოტაიკი“ — „კოლხოზჩი“
„შირაკი“ — „ხაზარი“
„მეშახტე“ — „დინამო“ ხ.

XXXVI ტური

14 ოქტომბერი, კვირა

„არაზი“ — „კოლხეთი“
„ლოკომოტივი“ თბ. — „სპარტაკი“
„მერცხალი“ — „ოლიმპია“
„ლოკომოტ.“ ხ. — „ავტომობ.“
„დილა“ — „ქიაფაზი“
„კოტაიკი“ — „ხაზარი“
„შირაკი“ — „კოლხეთი“

პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა თასის ფინალური ტურნირი — ნოემბერი.

ფინალი — მინსკში

ბათუმში ერთ კვირას გაგრძელდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ზონალური პირველობა ფეხბურთში 1967-68 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ლენინგრადის, სამარყანდის, ბრესტის, სოხუმის, ბათუმისა და ზუგდიდის გუნდები.

ჩინებულად ითამაშეს სოხუმელმა ნორჩმა დინამოელებმა (მწვრთნელი სპორტის ოსტატი გ. ზარია). მათ 10 შესაძლებლიდან 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ბათუმისა და ზუგდიდის გუნდები.

სოხუმელი და ბათუმელი ჭაბუკები მონაწილეობას მიიღებენ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც 23-30 ივლისს გაიმართება ბელორუსიის დედაქალაქში.

ინფორმაცია

ოთარ მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ტიმ სევერინი: დიახ!

კოლხეთი ელის ახალ არგონავტებს



მითის მიხედვით, იაზონისა და მისი „არგოს“ ვიზიტი მოულოდნელი იყო აიეტის სამეფოსათვის. თანამედროვე „არგოს“ საქართველოში სტუმრობის ამბავი კი ჯერ კიდევ მაშინ გავიგეთ, როცა მან იოლკოსში აფრები აუშვა და გეზი შავი ზღვისაკენ აიღო. იქიდან მოყოლებული კოლხეთიცა და მთელი საქართველოც მოუთმენლად ელის ტიმ სევერინის ექსპედიციის ფაზისში ჩამოსვლას. ეს დღეც მოახლოვდა.

ელექტროგაზეთი „საღამოს ფოთი“ მოქალაქეებს კიდევ ერთხელ შეახსენებს: „ფოთი ელის არგონავტებს. ივლისის ბოლოს ფოთში შემოვა „არგო“. ექსპედიცია, რომელსაც ცნობილი ინგლისელი ზღვაოსანი ტიმ სევერინი ხელმძღვანელობს, მითიური ბერძენი გმირის იაზონის გზით მოდის. ძველი კოლხეთი ელის ახალ არგონავტებს“.

ფოთში მართლაც დიდი სამზადისია სევერინის ექსპედიციის შესახვედრად. სამეგობროდ მოსულ სტუმრებს საზეიმო შეხვედრას მოუწყობენ კუნძულზე რიონის შესართავში. სარფი — ბათუმის მხრიდან მოსული „არგო“ აქ ერთ ღამეს გაჩერდება, რათა შემდეგ აღმა აუყვეს მდინარე რიონს ვანამდე. იმ საღამოს კუნძულზე გრანდიოზული თეატრალიზებული სანახაობა გაიმართება, თუმცა, „სანახაობა“ მთლად ზუსტი სიტყვა არ არის, რადგან ტიმ სევერინი და მისი ექსპედიციის წევრები ზეიმის უშუალო მონაწილეები იქნებიან.

ფოთთან ერთად არგონავტთა მისაღებად ემზადებიან აბაშისა და ვანის რაიონებიც, რომელთა ტერიტორიაზეც გადის ექსპედიციის მარშრუტის ბოლო მონაკვეთი; ემზადება ცხაკაიას რაიონი, სადაც ტიმ სევერინის ექსპედიციის რამდენიმე წევრი ციხეგოჯი-ნოქალაქევის დათვალიერებას აპირებს; ემზადება მესტიის რაიონიც: მეოცე საუკუნის არგონავტები სოფელ იფარში მდინარიდან ოქროს ამოკრეფის ძველებური წესის იმიტაციას ნახავენ (ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ ოქროს მოპოვებას უკავშირდება ოქროს საწმისი). არგონავტებთან შესახვედრად, რა თქმა უნდა, ემზადება ქუთაისი და, რა თქმა უნდა, ემზადება თბილისი. აქ სტუმრებს საინტერესო შეხვედრები ელით ქართული მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებთან.

ამასობაში „არგო“ საქართველოს ნაპირებს უახლოვდება. როგორც მკითხველებმა იციან, ექსპედიციამ სტარტი 3 მაისს აიღო საბერძნეთის ქალაქ ვოლოსში — ანტიკურ იოლკოსში. სევერინმა ექსპედიციის მარშრუტი და განრიგი ძველი ბერძენი ზღვაოსნების გამოცდილების საფუძველზე დაადგინა. მაის-ივლისში „არგომ“ გაიარა ეგეოსის ზღვა, ჰელესპონტი — დღევანდელი დარდანელის სრუტე, მარმარილოს ზღვა, ბოსფორის სრუტე და ბოლოს ევქსინის პონტი — შავი ზღვა. საქართველოში ექსპედიცია ათიოდე დღეს დაჰყოფს, შემდეგ კი ისევ იმავე გზით დაბრუნდება უკან. მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროებთან ტროის ნანგრევების ახლოს, ქალაქ ქუმყალეში, სევერინი გამოზამთრებას აპირებს. მან საგანგებოდ დაამთხვია თავისი მოგზაურობის ვადები ძველბერძნულ სანაოსნო სეზონს. კოლხეთისაკენ მომავალს მას სამხრეთის ქარი — ანტიკური „აფრიკი“ მიეშველება, უკან მიმავალს კი უკვე ჩრდილოაღმოსავლეთის ქარი გაუვსებს აფრებს. ამის მიუხედავად, ექსპედიცია გზის დიდ ნაწილს ნიჩბების დახმარებით გაივლის. ნიჩბებს „არგოზე“ გამოცდილი ოქსფორდელი ნიჩბოსნები უსვამენ. მათ გარდა სევერინმა ეკიპაჟის შემადგენლობაში ათი ბერძენი მენიჩბეც შეიყვანა, რომლებიც საბერძნეთის წყლებში ეხმარებოდნენ ინგლისელებს. თურქეთის ტერიტორიულ წყლებში შემოსვლისას ათი ბერძენი ათმა თურქმა მენიჩბემ შეცვალა. სარფთან კი თურქებს საქართველოს წარმომადგენლები შეცვლიან.

„არგოს“ მომავალ მენიჩბეთა წინა საექსპედიციო შეკრება ფოთში ტარდება. თორმეტ ენთუზიასტს შორის უმეტესობა ახლო წარსულში საქართველოს ნაკრების წევრი იყო, ზოგიერთი დღესაც იცავს რესპუბლიკის ღირსებას აკადემიურ თუ ბაიდარებით ნიჩბოსნობაში. მათ არაერთხელ მოუპოვებიათ გამარჯვება სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში. „არგოზე“ საქართველოს წყლებში ნაოსნობისთვის ემზადებიან სპორტის ოსტატები ანატოლი აკაევი, ვლადიმერ ბერაია, გიორგი თოფაძე, ვლადიმერ პეტრიუკი, აივარ სტრენგისი, ზურაბ ციცქიშვილი, ჯუმბერ ცომაია და გივი ცხომარია; სპორტის ოსტატობის კანდიდატები ლეონტი ნეგეფტიდი, ალეკო ქამხაძე და აკაკი ძიძიგური; „არგოს“ ექსპედიციაში მონაწილეობის პატივი წილად ხვდა ამ სტრიქონების ავტორსაც. ის, რომ „არგოზე“ ნიჩბოსნად ყოფნა დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, კარგად ესმის რესპუბლიკის თორმეტივე წარმომადგენელს, რომლებიც თბილისის სპორტკომიტეტის ინსტრუქტორის, სპორტის ოსტატ ჯუმბერ ჰანტურიას ხელმძღვანელობით დიდი მონდომებით ვარჯიშობენ პალიასტომის ტბაზე; მოეწყო საკონტროლო ცურვა მდინარე რიონზე ორჩხომელებით, რომელთა ნიჩბები ზომითა და წონით „არგოსას“ უახლოვდება. ჩვენ ყოველდღე ხანგრძლივად გავდივართ წყალზე, ვვარჯიშობთ ყოველგვარ ამინდში, ფოთში, კი, უნდა მოგახსენოთ, ახლა არცთუ კარგი ამინდი დგას. ერთ-ერთი ლაშქრობისას, მთლად გალუმპულებს მეთევზეთა კატერმა ჩაგვიარა და ლაბადაში გახვეულმა მისმა მესაჭემ მოგვაძახა, აბა, თქვენ იცით, არ შეგვარცხვინოთო! ქალაქის სპორტკომიტეტთან ერთად „არგოს“ მომავალ ნიჩბოსნებს ყოველდღიურ ვარჯიშში დიდად უწყობენ ხელს ფოთის სამხედრო-საზღვაო ნაწილის თანამშრომლები. აქვე მადლობით უნდა მოვიხსენიოთ ჩვენი უშუალო მასპინძელი და ინსტრუქტორი — მიჩმანი ტიმურ ქადეი.

ფოთის ინტერკლუბის თარჯიმანმა ნანა გოგინავამ შეკრების ზოგიერთ მონაწილეს მეტად საჭირო კონსულტაცია ჩაგვიტარა ინგლისურ ენაში, თან საქართველოს შესახებ ინგლისურ ენაზე გამოცემული წიგნები გადმოგვცა. ფოთის ინტერკლუბის ამ საჩუქარს ჩვენ „არგოზე“ ასვლისთანავე გადავცემთ სტუმრებს. იქამდე კი ბევრი აღარ დარჩა. კიდევ რამდენიმე დაძაბული და რთული ვარჯიშის შემდეგ იახტით გავემგზავრებით ფოთიდან და სარფთან „არგოზე“ გადავალთ. ხოლო ორიოდე კვირის შემდეგ უკვე უკან დაბრუნებულები, სარფთანვე დავტოვებთ „არგოს“ და ნიჩბებს ჩვენს თურქ შემცვლელებს გადავცემთ.

„არგოს“ მენიჩბეთა გარდა საქართველოს სპორტკომიტეტის აფროსნობა-ნიჩბოსნობის განყოფილება (უფროსი გრიგოლ ფოცხიშვილი) ამზადებს იახტების ეკიპაჟებსაც. შავ ზღვაში — სარფიდან ფოთამდე და ფოთიდან სარფამდე — „არგოს“ სამი იახტა გაუწევს თანხლებას: „კოლხეთი“ (კაპიტანი თამაზ ზოიძე), „იბერია“ (კაპიტანი რევაზ გაჩეჩილაძე) და „აჭარა“ (კაპიტანი ნიკოლოზ კადიევი).

ტიმ სევერინის ეს ექსპედიცია საბჭოთა ტელევიზიის ხელშეწყობით ტარდება. საქართველოს ტელევიზია მისი მთავარი და უშუალო მასპინძელია. საქართველოში თანამედროვე არგონავტთა სტუმრობას ფირზე აღბეჭდავენ საქართველოს ტელევიზიის, ცენტრალური ტელევიზიისა და ტელეკომპანია ბი-ბი-სის გადამღები ჯგუფები. მილიონობით საბჭოთა და უცხოელი მაყურებელი მოწმე გახდება იმ საინტერესო შეხვედრისა, რომელიც კოლხეთის უძველეს მიწაზე გაიმართება.

პაატა ნაცვლიშვილი,
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

ინფორმაცია

მეგობრობის სტარტები

როგორც ვიუწყებოდით, ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში რვა სოციალისტური ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში ჩატარდება „მეგობრობა-84“-ის პროგრამით გათვალისწინებული დიდი საერთაშორისო შეჯიბრებები სპორტის ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში. ეს ტურნირები არ უპირისპირდება ოლიმპიურ თამაშებს, ტარდება სხვა ვადებში (თამაშების დაწყებამდე და უმთავრესად, მისი დამთავრების შემდეგ) და ამდენად, ალტერნატიულ შეჯიბრებად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

დღეს ვაქვეყნებთ „მეგობრობა-84“-ის დაწვრილებით კალენდარს:

20-22 ივლისი. თავისუფალი ჭიდაობა. ბულგარეთი.
20-21 ივლისი. მძლეოსნობა (ოლიმპიური დღე). გდრ.
21-22 ივლისი. ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა. გდრ.
16-19 აგვისტო. წყალში ხტომა. უნგრეთი.
16-18. აგვისტო. მძლეოსნობა (ქალები). ჩეხოსლოვაკია.
17-18 აგვისტო. მძლეოსნობა (ვაჟები). სსრ კავშირი.
17-19 აგვისტო. ცხენოსნობა (ცხენის გაწვრთნა). პოლონეთი.
17-19 აგვისტო. მხატვრული ტანვარჯიში. ბულგარეთი.
18-24 აგვისტო. კრივი. კუბა.
18-20 აგვისტო. სამბო. მონგოლეთი.
18-22 აგვისტო. ველოსპორტი (ტრეკი). სსრ კავშირი.
18-26 აგვისტო. აფროსნობა (ნაწილი). სსრ კავშირი.
19-26 აგვისტო. წყალბურთი. კუბა.
19-25 აგვისტო. ცურვა. სსრ კავშირი.
19-25 აგვისტო. სასტენდო სროლა. სსრ კავშირი.
19-26 აგვისტო. ფრენბურთი. კუბა.
19-26 აგვისტო. ბალახის ჰოკეი (ვაჟები). სსრ კავშირი.
20-25 აგვისტო. აფროსნობა (ნაწილი). უნგრეთი.
20-26 აგვისტო. ჩოგბურთი. პოლონეთი.
20-25 აგვისტო. ტყვიის სროლა. სსრ კავშირი.
20-26 აგვისტო. ტანვარჯიში. ჩეხოსლოვაკია.
21-26 აგვისტო. ხელბურთი (ქალები). ჩეხოსლოვაკია.
22-30 აგვისტო. კალათბურთი. სსრ კავშირი.
23-26 აგვისტო. მშვილდოსნობა. ჩეხოსლოვაკია.
23-25 აგვისტო. აკადემიური ნიჩბოსნობა. სსრ კავშირი.
23-28 აგვისტო. ველოსპორტი (გზატკეცილი). გდრ.
24-26 აგვისტო. ცხენოსნობა (სამჭიდი). პოლონეთი.
24-26 აგვისტო. ძიუდო. პოლონეთი.
5-9 სექტემბერი. თანამედროვე ხუთჭიდი. პოლონეთი.
19-23 სექტემბერი. ძალოსნობა. ბულგარეთი.
27-30 სექტემბერი. ბალახის ჰოკეი (ქალები). პოლონეთი.

ველოსპორტი

ვილნიუსის ქუჩებში 194-კილომეტრიანი ჯგუფური ველორბოლა მოიგო ხარკოველმა მსოფლიო ჩემპიონმა, 23 წლის ალექსანდრე ზინოვიევმა — 4 საათი, 36 წუთი და 4 წამი. გამარჯვებულმა ამ მარათონულ ტრასაზე ერთი წამით ჩამოიტოვა მეორე მსოფლიო ჩემპიონი, ალმაათელი სერგეი ნავოლოკინი და ოლიმპიური ჩემპიონი, მინსკელი ოლეგ ლოგვინი. მონაწილეთა შორის ყველაზე აქტიური აღმოჩნდა ისევ ზინოვიევი, რომელმაც ოთხიდან ორი საშუალედო ფინიში მოიგო.

ასპარეზობაში 170 უძლიერეს საბჭოთა ველოსიპედისტთან ერთად ნორვეგიის ნაკრებიც მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ უაღრესად რთულ ტრასაზე და თითქმის განუწყვეტელ თავსხმაში შედეგები საკმაოდ მაღალი იყო.

ნორვეგიის ველოსიპედისტთა კავშირის გამგეობის წევრმა პერ ჰალვორსენმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყნის სპორტსმენებისათვის ეს შეჯიბრება ნამდვილი ველოსპორტის აკადემიაა.

აფროსნობა

ტალინის ყურეში ტარდება საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება აფროსნობაში. „ფინის“ კლასში გამარჯვება ასპარეზობის დამთავრებამდე, უკვე ექვსი რბოლის შემდეგ დაისაკუთრა სოჭელმა ოლეგ ხოპერსკიმ. ასევე ვადამდე მოიპოვეს პირველობა „ტორნადოს“ (მესაჭე — ნიკოლაეველი სერგეი პრიიმაკი, მეშკოტე — რიგელი ედგარ ტერეხინი), „სოლინგის“ (მოსკოველი ბორის ბუდნიკოვი, მინსკელები გენადი სტრახი და ოლეგ მირონი), „ვარსკვლავის“ (მოსკოველი ანდრეი ბალაშოვი და რიგელი ალექსანდრე მუზიჩენკო), აგრეთვე „მფრინავი ჰოლანდიელის“ (მინსკელები ალექსანდრე შპილკო და ვიქტორ ბუდანცევი) ეკიპაჟებმა.

წმინდა იანუარის „დესპანი“

ნეაპოლი რამდენიმე დღის ზეიმობდა. მოლაპარაკება „ნაპოლისა“ და ესპანეთის „ბარსელონას“ შორის ოფიციალურად ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე კი უკვე ნემსი არ ჩავარდებოდა. დაიწყო ნამდვილი კარნავალი. ნეაპოლი ფერად-ფერად დროშებსა და ტრანსპარანტებში ჩაიძირა.

„მარადონა ჩვენია“, „დიეგო, დიეგო, დიეგო“, „გმადლობთ შენ, წმინდაო იანუარი!“ — გაისმოდა ყოველი მხრიდან.

როგორც იქნა, მოხდა „სასწაული“, აღსრულდა ოცნება — მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი, არგენტინის ნაკრების ფორვარდი დიეგო მარადონა ამიერიდან „ნაპოლის“ შემადგენლობაში ითამაშებს...

სინამდვილეში სასწაულებრივი არაფერი მომხდარა. თვენახევრიანი „ეპოპეა“ დამთავრდა — „ნაპოლის“ ხელმძღვანელობამ დიდი ფული გადაუხადა ესპანეთის „ბარსელონას“, რომლის სახელითაც უკანასკნელ წლებში გამოდიოდა მარადონა. არგენტინელი „ვარსკვლავი“ ყველაზე „ძვირად ღირებული“ ფეხბურთელია, რომელიც მომავალ სეზონში იტალიის ჩემპიონატში ითამაშებს.

ნეაპოლელ გულშემატკივართა ცერაპი მართლაც მეტად დიდ ფასს აძლევს თავის ყოველ გამოჩენას ახალი თაყვანისმცემლების წინაშე. სწორედ გულშემატკივართა ჯიბემ უნდა ზღოს ის ფული, რაც „ბარსელონასთან“ საქმის გარიგებას დასჭირდა. როგორც გამოცხადდა, მომავალი სეზონიდან „ნაპოლის“ სტადიონზე, რომელიც ასი ათას მაყურებელს იტევს, შესასვლელი ბილეთების ფასი ორჯერ გაიზრდება.

მაგრამ ექსპანსიური ნეაპოლელები ჯერჯერობით ამაზე არ ფიქრობენ. ამ ქალაქში, სადაც სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები მეტად მწვავედ დგას, ხოლო უმუშევრობამ ყოველგვარი რეკორდების ზღვარს გადააჭარბა, ფეხბურთი ყოველდღიური სინამდვილის დავიწყების ერთადერთი საშუალებაა. ახლა ნეაპოლი დიეგოს შესახვედრად ემზადება. როგორც „ღვთაებრივ არსებას“ შეჰფერის, წმინდა იანუარის დესპანი თაყვანისმცემლებს ციდან მოევლინება. ვერტმფრენი, რომელიც მარადონას ნეაპოლში ჩამოიყვანს, სან-პაოლოს სტადიონის მწვანე მდელოზე დაეშვება. ამ „სასწაულის“ ნახვა ადვილი არ გახლავთ — ბილეთებს ცეცხლის ფასი ადევს.

რედაქტორი ა. გოგელია.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი
24 ივლისი
ფეხბურთი
სსრ კავშირის ჩემპიონატი
„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი)

დასაწყისი 20 საათზე.

მატჩზე დასასწრები ფეხბურთისა და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 19-20 ივლისს დილის 10 საათიდან, ხოლო სტადიონის სალაროებში — 19 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით, დილის 10 საათიდან.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, გმირებისა და სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალარო 21-23 ივლისს.

აბონიმენტების მფლობელებს შეუძლიათ საფეხბურთო ლატარიის ბილეთები შეიძინონ № 7 სალაროში 21-23 ივლისს.

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობანი ითამაშებენ „დინამოს“ სტადიონზე 23 ივლისს. დასაწყისი 19 საათსა და 30 წუთზე.

უამინდობის შემთხვევაში სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი შედგება გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 74)
20 ივლისი
ფეხბურთი
II ლიგა, IX ზონა
„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი)

დასაწყისი 19 ს. 30 წთ.

საქართველოს სპორტკომიტეტი და რესპუბლიკის ხელბურთის ფედერაცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

ალექსანდრე მარკის ძე ეიდერმანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
ИНДЕКС 66435
უე 09854